

ლიბანიოსი

ლიბანიოსი 314 წელს დაიბადა ანტიოქიაში, რომლის მგზნებარე სიყვარულიც სიკვდილამდე შეინარჩუნა. განათლება მან ჯერ მშობლიურ ქალაქში მიიღო, ხოლო შემდეგ – ათენში, რომელსაც „ელადის“ ვარსკვლავს უწოდებდა. როგორც ავტოგრაფიულ სიტყვაში თვითონვე მოგვითხრობს, უდარდელი ყრმობის ასაკიდან ახლად გამოსული, 15 წლის ასაკში, მჭევრმეტყველების ვნებამ შეიპყრო, რომელმაც ყველა სხვა მისი მისწრაფება არა მხოლოდ დაჩრდილა, არამედ მისი პიროვნებიდან სრულად და თანაც სამუდამოდ განდევნა (Orat. I, 5; 8). მართალია, ეს სიყვარული მასში უფრო წიგნიერებამ გააღვიძა, ვიდრე თანდაყოლილმა ბუნებრივმა ნიჭმა, მაგრამ მან ლიბანიოსის მრავალრიცხოვან სიტყვებს, დეკლამაციებსა თუ წერილებს (ჩვენამდე მისმა თანამედროვე მოვლენებზე დაწერილმა 70-მდე სიტყვამ, შეთხზულ თემებზე შექმნილმა 50-მდე დეკლამაციამ და 1000-ზე მეტმა წერილმა მოაღწია), სილამაზე შესძინა და თვით ის ადგილებიც კი, სადაც მოსაწყენი მსჯელობაა გადმოცემული, ერთგვარად გააცოცხლა.

ლიბანიოსი არა მხოლოდ თვითონ იყო მოყვარული რიტორიკული ხელოვნებისა, არამედ ცდილობდა ეს სიყვარული სხვებშიც, განსაკუთრებით ახალგაზრდებში გაეღვიძებინა. ამ მიზნით დაარსა მან 341 წელს რიტორიკული სკოლა კოსტანტინეპოლში, რომელიც შემდეგ ნიკომედიაში გადაიტანა, ხოლო 354 წელს ანტიოქიაში, სადაც საბოლოოდ დამკვიდრდა კიდევ. ლიბანიოსს არ ესმოდა იმ ახალგაზრდებისა, რომელთაც მჭევრმეტყველება არ იტაცებდა და მისი ხელოვნების დაუფლებისაკენ არ ისწრაფვოდა. ამიტომ სიტყვაში „მათ, რომელთაც არ სურთ სიტყვებით გამოსვლა“, მწარედ საყვედურობს ახალგაზრდებს, რომელნიც ყოველ ღონეს არ ხმარობენ იმისათვის, რომ რიტორიკას, კა-

ცობრივ საქმეთაგან ყველაზე კეთილშობილურსა და ყველაზე ღირსეულს, ეზიარონ (Orat. XXXV). განსაცვიფრებელია მისი პედაგოგიური მოღვაწეობის მასშტაბები. მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებიდან, რომელნიც თითქმის მთელ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მოღვაწეობდნენ, ისტორიამ 134-ის სახელი შემოგვინახა.¹ მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ სიტყვის აგებისა და გამომსახველობითი ხერხების გამოყენების ხელოვნება ლიბანიოსთან დამონაფების შედეგად შეითვისა არა მხოლოდ ქრისტიანული რიტორიკის, არამედ საერთოდ მჭევრმეტყველების ისეთმა სახელგანთქმულმა წარმომადგენლებმა, როგორებიც ბასილი დიდი, გრიგოლ ღმრთისმეტყველი და იოვანე ოქროპირი იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მასწავლებლის იდეოლოგიას არა თუ იზიარებდნენ, არამედ უპირისპირდებოდნენ კიდევ, ფართო განათლებისა და ორატორული ხელოვნების გამო, დიდ პატივს მიაგებდნენ და მასთან მეგობრობას ესწრაფვოდნენ.

„ლიბანის მესიბრძნესა“ – ასეთი დასათაურება აქვს ბასილი დიდის მასწავლებლისადმი მიწერილ წერილთაგან ერთ-ერთს. მასში წმინდა ბასილი ლიბანიოსისგან მიღებულ ეპისტოლეს ეკლებიან ვარდს ადარებს; ვარდს – მისი „ენაკეთილობისა“ გამო, ხოლო ეკლებში მისდამი გამოთქმულ საყვედურებს გულისხმობს, თუმცაღა მჭევრმეტყველების ძალით ისინიც სიამოვნებას ანიჭებენ და მათ ავტორთან უფრო მჭიდრო მეგობრობისაკენ აღძრავენ: „...არამედ ჩემდა შენთა სიტყუათა ძლით ეკალიცა გემოვან არს, უმეტესად სურვილად მეგობრობისა აღმტყინებელი“.²

როგორც ამის შესახებ თავად ლიბანიოსი გვამცნობს, მისი მოწაფეები აღმოსავლეთ რომის იმპერიის თითქმის ყველა მხარეში მოღვაწეობდნენ:

¹ Petit P., Les étudiants de Libanius P., 1957.

² ნ. ქაჯაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1992, გვ. 258.

თრაკიაში, ბითვინიაში, ჰელესპონტში, კარიასა და იონიაში, პაფლაგონიაში, კაპადოკიაში, გალატიის ქალაქებსა და კილიკიაში; განსაკუთრებით დიდი იყო მათი რიცხვი სირიაში, ფინიკიასა და პალესტინაში. ორატორული ხელოვნების დასაუფლებლად მასთან არა მხოლოდ ბერძნები, არამედ არაბები, ისავრიელები, პისიდიელებიცა და ფრიგიელებიც მოდიოდნენ, ამასთან, როგორც წარმართები, ასევე ქრისტიანებიც.

ეკუთვნოდა რა წარმოშობით სამოქალაქო არისტოკრატიას, ლიბანიოსის პოლიტიკურ-სოციალური იდეალი პოლისური საზოგადოება იყო. აქედან გამომდინარე, იგი თავგამოდებით ექომაგებოდა მუნიციპალურ ინსტიტუტებს, თუმცა პირადად მას ქალაქის მმართველობაში სამუშაოდ გული არ მიუწევდა. ამასთან დაკავშირებით ლიბანიოსს საკუთარი მტკიცე შეხედულება ჰქონდა. მისი აზრით, ორატორი მხოლოდ და მხოლოდ მრჩეველი უნდა ყოფილიყო, თანაც არავისზე დამოკიდებული და თავისუფალი, რასაც მაშინვე დაკარგავდა, როგორც კი სახელმწიფო სამსახურში შევიდოდა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობაცა და განათლებაც ქალაქის კურიაში რომელიმე მნიშვნელოვანი თანამდებობის დაკავებაში ხელს უწყობდა, ეს არასოდეს უცდია, რადგან ფიქრობდა, რომ საკუთარი პოლიტიკურ-სოციალური იდეალების სამსახურს ყველაზე უკეთ მაშინ შეძლებდა, თუკი ორატორად ანუ თავისუფალ მრჩეველად დარჩებოდა.

ლიბანიოსს სწამდა, რომ ორატორის, ვითარცა მამხილებელისა და სამართლიანობის დამცველისა, საზოგადოებას უნდა შინებოდა, თვითონ მას კი არავის შიში არ უნდა ჰქონოდა. იგი წინააღმდეგი იყო იმგვარი მჭევრმეტყველებისა, რომელსაც მსჯელობის ობიექტად კონკრეტული საგანი ან მოვლენა არ ექნებოდა, ანუ ე. წ. მჭევრმეტყველებისა მჭევრმეტყველებისათვის. სიტყვის წარმოთქმის დიდოსტატი ორატორებისაგან

სათქმელის, რაც შეიძლება სხარტად, ლაკონურად გადმოცემას მოითხოვდა, რადგან გაჭიანურება, არა მხოლოდ მსმენელებს ღლის და ქანცავს, არამედ თვითონ გამომსახველ საკითხსაც უკარგავს სიმწვავეს, რის შედეგადაც ისედაც გადაღლილი მსმენელის ყურადღება კიდევ უფრო იფანტება და დუნდება. რამდენიმე სიტყვა და დიდი შინაარსი – ეს იყო ერთი უმთავრესი მოთხოვნა, რომელსაც ლიბანიოსი ორატორულ სიტყვას უყენებდა. ამასთან, რიტორიკას იგი აღმზრდელით ფუნქციასაც აკისრებდა; რამდენადაც მისი თანამედროვე თეატრი, ანტიკური თეატრისაგან განსხვავებით, ამ ფუნქციას ვეღარ ასრულებდა, მოქალაქეთა კარგ ადამიანებად აღზრდა და მათთვის სიკეთისა და სასარგებლო საქმიანობის სწავლება თავის თავზე ორატორულ ხელოვნებას უნდა აეღო. ლიბანიოსის სიტყვების გაძლიერებული მორალიზმი და მამხილებლური ტონი, შესაძლებელია, მისი თანამედროვე დიდი ქრისტიანი მჭევრმეტყველების ზეგავლენითაც აიხსნას. მაგალითად, აშკარად იგრძნობა ეს ზეგავლენა, როცა მდიდართაგან ღარიბთა ჩაგვრას ამხელს, ან იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ უსამართლოდ შეძენილი ქონებით ცხოვრებას სიღარიბეში დარჩენა სჯობს (Or. VIII). თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თვალსაზრისით მისი მასწავლებლის დაძებნა ანტიკურ ეპოქაშიც შეიძლება. როგორც ცნობილია, ათენელი პოეტი და კანონმდებელი სოლონი (VII ს. ძვ. წ.) თანამოქალაქეებს ქონების მხოლოდ და მხოლოდ პათიოსანი გზით შეძენას ურჩევდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში თავს აუცილებლად ღმერთების შურისძიებასა და რისხვას დაიტყუებდნენ.³

სამართლიანად ამაყობდა რა მისი ხალხის მიერ შექმნილი უდიდესი კულტურით, ლიბანიოსი დაუფარავად ეწინააღმდეგებოდა რომის იმპე-

³ ანტიკური ლირიკა.

რიის აღმოსავლეთ, ბერძნულენოვან ნაწილში განათლებისა და მეცნიერების სფეროში ლათინური ენის დამკვიდრებასა და რომაული სამართლის გავრცელებას, რაც განსაკუთრებით ბეირუთში იგრძნობოდა (Or. II, 44; XL, 5; XLV, 26 და ა. შ.). იგი გულდანყვეტილად საუბრობდა არისტოკრატიული ოჯახების შვილებზე, რომელნიც, ნაცვლად იმისა, რომ მჭევრმეტყველების ხერხები დიდებული ბერძნული რიტორიკიდან ესწავლათ და შეეთვისებინათ, ლათინური ენისა და რომაული იურისპრუდენციის შესწავლით იყვნენ გატაცებულნი.

გარდა იმისა, რომ ლიბანიოსმა ვერ შეძლო ერწმუნა ჯვარცმული ღმერთი, რომელსაც ქრისტიანები თაყვანს სცემდნენ, იგი მათში საკუთარი პოლიტიკური იდეალის – ძველი პოლისური ცხოვრების მოწინააღმდეგეებსაც ხედავდა. განსაკუთრებით აღიზიანებდა ქრისტიანთა ერთი ნაწილის მისწრაფება ამქვეყნიურ ცხოვრებასთან განშორებისა და ასკეტიზმისაკენ. ნაცვლად იმისა, რომ პოლისური ცხოვრების აყვავებაში თავიანთი წვლილი შეეტანათ, ისინი საერთოდ ხელს იღებდნენ მასზე და უდაბურ ადგილებსა და გამოქვაბულებში მარტოვდებოდნენ, რასაც ლიბანიოსი, გადასახადების გაზრდასთან ერთად, ქვეყანაში მინათმოქმედების გაჩანაგების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიიჩნევდა (Or. II; Or. XVIII და Or. LX). მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანებს არა მხოლოდ სარწმუნოებრივად, არამედ პოლიტიკურადაც უპირისპირდებოდა, მან მაინც შეძლო, რომ პირად დამოკიდებულებაზე მაღლა სამართლიანობა დაეყენებინა. თუმცაღა იულიანესთან სარწმუნოებრივი ერთობა და ახლო ურთიერთობა აკავშირებდა, მაინც დაუფარავად გამოხატა, რომ დევნას, რომელიც იმპერატორმა ქრისტიანებს გამოუცხადა, ვერც მოიწონებდა და ვერც მხარს დაუჭერდა. აღსანიშნავია, რომ ვალენტი კეისრის მეფობის დროსაც, რომელიც არიოზის მწვალებლობის მიმდევარი იყო და მართლმადიდებლებს სდევნიდა,

ლიბანიოსი ნიკეელთა დასაცავად გამოდიოდა. ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტიოქიელი მქადაგებლისათვის სარწმუნოებისათვის დევნა საერთოდ გაუმართლებელი და მიუღებელი იყო.

ლიბანიოსმა იმპერატორ იულიანეს, რომელიც წარმართობის ანუ როგორც თვითონ ფიქრობდა, ბერძენთა ეროვნული რელიგიის აღდგენა-გაცოცხლებისათვის (მისთვის წარმართობის დაცვა ბერძნული პატრიოტიზმის იგივეობრივი იყო), არაადამიანურ ძალისხმევას იჩენდა, ხუთი სახოტბო სიტყვა – პანეგირიკი მიუძღვნა, რომელთაგან ორი (Or. XII და Or. XVI) იმპერატორის სიცოცხლეში შექმნა, ხოლო სამი (Or. XVII, XVIII და XXIV) მისი გარდაცვალების შემდეგ. იულიანეს ყველაზე დიდ დამსახურებად ლიბანიოსს ის მიაჩნია, რომ მან სრულიად უგულვებელყოფილი ღმერთები და „მათი საჩუქარი“ – სიტყვის ხელოვნება კვლავ უდიდეს პატივში აიყვანა და, აქედან გამომდინარე, პატივი მიაგო იმ პირთაც, რომელნიც სიტყვის ხელოვნებას ფლობდნენ (Or. XVIII). თავის მხრივ, იმპერატორიც თავისი პედაგოგისა (როგორც ცნობილია, იგი ახალგაზრდობაში ლიბანიოსის ლექციებს უსმენდა) და სახელოვანი ორატორის მიმართ, რომელიც ამავე დროს წარმართული რელიგიის იდეოლოგადაც ითვლებოდა, ღრმა პატივისცემასა და მზრუნველობას გამოხატავდა, მაგრამ მათი ურთიერთობა ჭეშმარიტ მეგობრობაში მაინც არ გადაზრდილა, რადგან წარმართობის მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად ესმოდათ. იამბლიხოსის ნეოპლატონური სკოლის მიმდევარ იულიანეს წარმართობა მისტიკისა და ოკულტიზმის ასპექტით იზიდავდა, ხოლო ლიბანიოსი ანტიკურ რელიგიაში პოლისური ყოფის ამამალლებელსა და შემამკობელს ხედავდა. ამასთან, მისთვის იგი იყო საგანძური, რომელიც მის ორატორულ ხელოვნებას მითოსური მოტივებით უხვად ასაზრდოებდა. მიუხედავად ამისა, სპარსელებთან ომში იმპერატორი იულიანეს დალუპვა მან იმდენად მტკივნეულად განიცადა, რომ, როგორც ავტობი-

ოგრაფიულ სიტყვაში თვითონვე აღიარებს, თავის მოკვლაც კი განიზრახა (Orat. I, 35). თუ გავითვალისწინებთ, რომ იულიანეს დაღუპვით წარმართობამ არა მხოლოდ იდეოლოგი, არამედ სახელმწიფოს მხრიდანაც მძლავრი მფარველი დაკარგა, მისი სასონარკვეთილება გასაგები გახდება. უკანასკნელი წარმართი იმპერატორის სიკვდილთან ერთად სამუდამოდ დაიმარხა იმედიც რომის იმპერიაში წარმართობის სახელმწიფო რელიგიად აღდგენისა.

ლიბანიოსის რიტორიკული სიტყვებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ავტობიოგრაფიული სიტყვა „ცხოვრება ანუ საკუთარი ხვედრის შესახებ“, რომელიც 374 წელს დაიწერა.⁴ საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში იგი უფრო დიდ სიახლოვეს ქრისტიანულ მწერლობასთან ამჟღავნებს, ვიდრე ანტიკურთან, რადგან „გადმოღვრით სულისა“ ძალიან ჰგავს ქრისტიანულ აღსარებას. საკუთარი თავგადასავლის გადმოცემითა და სულიერი პორტრეტის დახატვით იგი ცდილობს ხელი შეუშალოს საზოგადოების მცდარი წარმოდგენების დაკანონებას მისი პიროვნებისა და ცხოვრების შესახებ. „ერთნი მე ადამიანთა შორის უბედნიერესად მთვლიან იმ პოპულარობის გამო, რომლითაც ჩემი სიტყვები სარგებლობენ, სხვანი, მუდმივად ავადობისა და განსაცდელთა გამო, – ცოცხალ არსებათა შორის უუბედურესად. ამ დროს ერთნიცა და მეორენიც ჭეშმარიტებისაგან დიდად დაშორებულნი არიან; ამიტომაც ჩემი ცხოვრების ადრინდელსა და ახლანდელ მოვლენებს მე თავად გადმოვცემ და მაშინ ყველა დაინახავს, რომ ღმერთებმა შერეული ხვედრი მიბოძეს“.

საინტერესოა, რომ თავისი ავტობიოგრაფიული თხზულებანი გრიგოლ ღმრთისმეტყველმაც ცილისწამებათა გაქარწყლებისა და შთამომავლობისათვის საკუთარ პიროვნებაზე სიმართლის საუწყებლად დაწერა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ლიბანიოსის ავტობიო-

⁴ Norman A. F. Libanius Autobiography: texte, traduction, commentaire, Oxford, 1965.

გრაფიული სიტყვის ნათესაობა გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიასა და ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებასთან“,⁵ ოღონდ ერთი არსებითი სხვაობით: ლიბანიოსი საკუთარი პიროვნებით ტკბება და უკიდურეს ეგოცენტრიზმს ამჟღავნებს, რომელსაც ალაგ-ალაგ ჩართული თვითკრიტიკა ვერ არბილებს, რადგან ავტორი ამითაც თავმომნონეობს.

მაგალითად, მას საკუთარ ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების ობიექტურ ანალიზზე მეტად საკუთარი ემოციები აინტერესებს, ამ მოვლენებით გამონწვეული.

ასე რომ, ლიბანიოსის ავტობიოგრაფიული სიტყვაც პანეგირიკია, ოღონდ ამჯერად არა კონსტანცი და კონსტანტი იმპერატორებისადმი (რომელიც 348 წელს დაწერა და რომლის გამოც, როგორც დედაქალაქის ოფიციალურ ორატორს, იმპერატორისაგან ხელფასი დაენიშნა), ან იულიანესადმი მიძღვნილი, არამედ საკუთარი თავისადმი აღვლენილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია, რომ ლიბანიოსი რიტორიკაში ატიკისტური მიმართულების მიმდევარია. ანტიკური მჭევრმეტყველებისა და, საერთოდ, მწერლობის ბრწყინვალე მცოდნე, სიტყვის კომპოზიციისა და დახვეწილი სტილის დიდოსტატია. მიუხედავად მხატვრული სახეებისა და ხერხების უხვად გამოყენებისა, რაშიც ასევე დიდად უწყობდა ხელს ყრმობიდანვე შესისხლხორცებული ანტიკური ლიტერატურა და მითოლოგია, მისი სამეტყველო ენა ადვილად აღსაქმელი და გასაგები იყო მსმენელთათვის. ამას იგი აღწევდა უარის თქმით იმგვარ უშინაარსო მჭევრმეტყველებაზე, როცა ორატორის ძირითადი საზრუნავი არა მსმენელამდე სათქმელის აქტუალობის მიტანა, არამედ სიტყვის გარეგნული ბრწყინვალეობითა და მაღალფარდოვნებით მისი გაოცებისა და აღფრთოვანების გამონწვევაა.

⁵ Аверинцев С. С. Византийская литература IV-VII вв. წიგნში История византии, М., т. I, გვ. 414.

უმეტესი ნაწილი სიტყვებისა ლიბანიოსმა ანტიოქიაში დაბრუნების შემდეგ (354 წ.) შექმნა. მშობლიური ქალაქის დიდ პატრიოტს (მას ეკუთვნის პანეგირიკი „ქება ანტიოქიისა“), ანტიოქიაში თავდაპირველად დიდი პატივით შეხვდნენ და იმის უფლებაც კი მისცეს, რომ თავისი სკოლის მეცადინეობანი ქალაქის კურიის დიდ დარბაზში ჩაეტარებინა. თავის მხრივ, პატივი მიაგო მას, აგრეთვე, იმპერიის ხელისუფლებამაც, სახელდობრ, იმპერატორმა თეოდოსი დიდმა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ქრისტიანი იყო, განათლებისა და სამართლიანობის გამო პრეტორიის საპატიო პრეფექტის ტიტული მიანიჭა (383-84 წწ.).

სიცოცხლის ბოლო წლები ლიბანიოსისათვის შედარებით მძიმე გამოდგა. გარდა იმისა, რომ ქალაქის მმართველობის დიდი ნაწილი გადაემტერა, აღარც მისი სკოლა ბრწყინავდა ძველი დიდებით. იგი 393 წელს გარდაიცვალა.

გარდა სიტყვებისა, რომელთა რიცხვი 65-ს აღწევს, შემოგვრჩა ლიბანიოსის მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა – 1605 წერილი, რომელთა ადრესატები ძირითადად მისი მოწაფეები, მეგობრები და ოფიციალური პირები არიან. ქართული კულტურის ისტორიის მკვლევართათვის განსაკუთრებით საინტერესოა 980-ე წერილი, რომლის ადრესატიც ქართველი ბაკურია. ბაკური მოხსენიებულია, აგრეთვე, 963-ე და 964-ე წერილებშიც. აქვე შევნიშნავთ, რომ ლიბანიოსისაგან წერილის მიღება დიდ პატივად ითვლებოდა.⁶ როგორც ამ წერილიდან ჩანს, ბაკური ლიბანიოსსა და მის წრესთან დიდად დაახლოებული პიროვნება ყოფილა; ამ წრეში მას თურმე დიდად სცემდნენ პატივს და აფასებდნენ მრავალი მშვენიერი თვისების გამო. სწორედ ბაკურისადმი ამ წრის დამოკიდებულებას გამოხატავს 980-ე წერილი. ლიბანიოსი წერს თავის ადრესატს: „ზოგი აქებს შენ სამართლიანობას და იმას, რომ შენ და-

⁶ W. Christs, Geschichte der griechischen Literatur, 1913, II, 800-801.

ჯერებული ხარ იმაში, რომ ყველაფერი, რაც ქვეყანაზე ხდება, ღმერთებმა იციან და ხედავენ. ზოგი კიდევ ადიდებს შენს ზომიერებას და იმას, რომ უფრო მეტად მბრძანებლობ ვნება-სურვილებს, ვიდრე ჯარისკაცებს. სხვა კიდევ აქებს შენს სიბრძნეს, რომლის წყალობითაც იმარჯვებ ხოლმე ბრძოლაში. იყო ისეთიც, რომელიც ამბობდა, რომ შენს სულს არ მიჰკარებია შიში რაიმე საფრთხის წინაშე. მე კი შენს ღირსებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება ის, რომ შენ გიყვარს ლოგოსები და ისინიც, ვინც ლოგოსებს მისდევენ, რისთვისაც შენ საყვარელი ხარ ღმერთებისათვის, რომელნიც ზრუნავენ ლოგოსებზე; ხომ ზრუნავენ ლოგოსებზე ისინი, რომლებმაც ეს (ლოგოსები) მოგვცეს“.⁷

ჩვენ რომ ასეთ ყვავილებში ვტრიალებდით, შენ, რასაკვირველია, იყავი მდელო; ამ დროს ხელში ჩამიდო მისმა მომტანმა წერილი, რომელიც არის საბუთი შენი სიყვარულისა ლოგოსებისადმი“.⁸

როგორც წერილიდან ჩანს, ლიბანიოსი სრულიად ეთანხმებოდა ბაკურის მეხოტბეებს, რომელნიც მას ღმერთების რწმენის, ზომიერების, სიბრძნისა და სიმამაცის გამო აქებდნენ, მაგრამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, თვითონ ყველაზე დიდ ღირსებად რიტორიკული ხელოვნებისა (logwn) და მისი ავტორების სიყვარულს უთვლიდა. ქართულ მეცნიერებაში იყო მცდელობა, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა logoi ღმერთების მნიშვნელობით გაგებულყო, რის შედეგადაც გამოვიდოდა, რომ ლიბანიოსი ბაკურს ყველაზე მეტად ღმერთების სიყვარულისათვის აფასებდა;⁹ მართალია, სიტყვა logoi-ის მნიშვნელობათაგან ერთ-ერთი ღმერთიცაა, მაგრამ, ბ-ნმა სიმონ ყაუხჩიშვილმა, როგორც თავად წერილის ტექსტის, ასევე ლიბანიოსის იმ

⁷ თარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, გვ. 90.

⁸ გეორგიკა, ბიზანტი. მწერლობის ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტი თარგმანითურთ გამოსცეს და კომენტარები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 63-64.

⁹ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ., 1956, გვ. 111.

სიტყვების, რომლებშიც ეს ტერმინია გამოყენებული, ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ზემოხსენებულ წერილში იგი რიტორიკული ხელოვნების მნიშვნელობითაა გამოყენებული.¹⁰ ეს რომ ასე არ იყოს, სტილის დიდოსტატის წერილში მივიღებდით, როგორც შინაარსობრივად, ისე სტილური თვალსაზრისითაც სრულიად გაუმართავ ფრაზას, დაახლოებით ასეთს: ...შენ საყვარელი ხარ ღმერთებისათვის, რომელნიც ზრუნავენ ღმერთებზე, ხომ ზრუნავენ ღმერთებზე ისინი, რომელთაც ეს (ღმერთები) მოგვცეს.

ლიბანიოსი მეგობრებისაგან ბაკურის შესაქებად წარმოთქმულ სიტყვებს ყვავილებს უწოდებს, რითაც მათ მხატვრულ ღირსებებზე მიანიშნებს, ხოლო თავად ბაკურს მდელოს, ანუ წიაღს რიტორიკული ხელოვნებისა, საიდანაც მისთვის ხოტბის შემსხმელნი საზრდოობდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ლიბანიოსი ბაკურისაგან მიღებულ წერილს მისი რიტორიკული ხელოვნებისადმი სიყვარულის დასტურად მიიჩნევს, რაც გვაპარაუდებინებს, რომ წერილი მჭევრმეტყველების კანონებით უნდა ყოფილიყო შედგენილი. თუ ეს ასეა, მაშინ ლიბანიოსის მიერ ბაკურის რიტორიკული ხელოვნების წიაღად მოხსენიებასთან ერთად ეს ფაქტიც საშუალებას გვაძლევს, გამოვთქვათ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქართველი ბაკური¹¹ არა მხოლოდ მჭევრმეტყველების მცოდნე და დამფასებელი, არამედ თვითონაც მჭევრმეტყველი ყოფილა, თუმცა,

¹⁰ გეორგივა, I, გვ. 61. აგრეთვე, ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, გვ. 91.

¹¹ იბერიის სამეფო გვარეულობის წარმომადგენელ ბაკურს 378-394 წლებში ბიზანტიაში იმპერიის სამეფო კარზე მაღალი თანამდებობა ეჭირა. იმის თაობაზე, თუ რატომ მოღვაწეობდა იგი ბიზანტიაში და არა საკუთარ სამშობლოში, ს. ყაუხჩიშვილი შემდეგს ვარაუდობს: 1. შესაძლებელია მისი იბერიიდან წასვლის მიზეზი შექმნილი პოლიტიკური ვითარება ყოფილიყო; 2. IV საუკუნის მეორე ნახევარში იბერიის სახელმწიფოებრივ რელიგიას ქრისტიანობა წარმოადგენდა, ბაკური კი, როგორც ეს ლიბანიოსთან მისი ურთიერთობიდან ჩანს, პოლითეისტი ყოფილა. შეიძლება სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ იგი, სამეფო სახლის წევრი, სამშობლოდან ბიზანტიაში გახიზნულიყო. იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტ. ისტორია, თბ., 1973, გვ. 91-92.

სამწუხაროდ, მისი ორატორული ხელოვნების არცერთი ნიმუში ჩვენამდე არ შემონახულა.